№ 48

შაბათი, 4 მარტი 1895

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1895

# ივერია

№ 48

შაბათი, 2 მარტი 1895

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი№ 227

სოფ. ერთა-წმიდას, ორშაბათს 6 მარტს გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის **კონსტანტინე ივანეს ძის კარგარეთელისა**, აუწყებენ-რა ნათესავთა და ნაცნობთა ქვრივი გარდაცვალებულისა **ოლგა იოთამის ასული კარგარეთელისა** და ცოლის დანი: **ევდოქსია იოთამის ასული კვალიაშვილისა** და **ალათია იოთამის ასული ჩერქეზიშვილისა** და ძმანი განსვენებულისა: **ლუკა ივანეს ძე** და **დიმიტრი მეულლითურთ**, სთხოვენ მობრძანდნენ წირვასა და პანაშვიდზედ განსვენებულის სულის მოსახსენებლად.
(2—1068—1)

**კაბინეტი კბილის ექიმთა**
**ვ. ი. ჯიჯინაძისა** და **ქ-ნის დ. ილარიონოვისა.**

მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.

ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—3 და საღამოს 4—7 საათამდე.

## წლიური საზოგადო კრება.

რადგან 19 თებერვლისათვის დანიშნული წლიური საზოგადო კრება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წევრთა არ შესდგა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო, ამიტომ, თანახმად წესდების § 15-ისა, კრება ხელმეორედ დანიშნულია 5 მარტისათვის, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში, დილის 10 საათზედ.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1) წლიური ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1 ენკენისთვიდგან 1893 წლ. 1 ენკენისთვემდე 1894 წ.

2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამ ანგარიშის და წარსულის სარევიზიო კომისიის მოხსენების შესახებ.

3) სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა 1 ენკენისთვიდგან 1894 წ. 1 იანვრამდე 1895 წ. და მთელის 1895 წლისა.

4) მოხსენება გამგეობისა თავ. ივ. გ. მაჩაბლის მიერ საზოგადოების სახელზედ ბანკში შეტანილის ბროსეს პრემიის თანხის მოხმარების შესახებ.

5) მოხსენება გამგეობისა ბ. გ. ღ. ქართველიშვილის შემოწირულების შესახებ.

6) არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.

7) არჩევანი საზოგადოების თავმჯდომარისა და გამგეობის წევრთა.

## ტფილისი, 4 მარტი. *)

„ივერიის“ მეთრმოც-და-ერთე №-ში დასტამბული იყო წერილი მღვდლის ალექსანდრე არდიშვილისა იმის შესახებ, რომ 19-ს თებერვალს რიონის [illegible] სადგურზედ „კონტროლს“ დაუგდია და დატუსაღებია თორმეტი ბავშვი, რომელნიც მიემგზავრებოდნენ ქუთაისს სასწავლებლად. ნორჩთა ტუსაღთა შორის იყო თურმე შვილი თვით მ. არდაშვილისა.

მიზეზი ამ გვარის მოქმედებისა, როგორც წერილიდამ სჩანს, ყოფილა ისა, რომ ბავშვებს ნაცვლად მთელის ბილეთებისა ნახევარ-ნახევარი ბილეთი ჰქონიათ მიცემული კასირისაგან. „კონტროლს“ ნახევარი ბილეთი არ უცვნია კანონიერად და ამისათვის წარუდგენია მოწაფენი რიონის სადგურის უფროსისათვის, რომ მას მათთვის გარდაეხდევინებინა ერთი-ორად ბილეთის ფასი. ბავშვებს არ აღმოაჩენიათ საკმარისი ფული და ამ ნაირად „კონტროლის“ განკარგულებით იგინი იძულებულნი გამხდარან „ორი სამი დღე მშიერ-მწყურვალნი, ყინვასა და სიცივეში გდებულიყვნენ განუკითხველად».

ასე მოგვითხრობს მღმდელი არდიშვილი პატარა მოგზაურთა განსაცდელს.

თუ ყოველივე ზემომოყვანილი ჭეშმარიტებაა,—ჩვენ არა გვგონია იყოს ისეთი ადამიანი, რომელმაც ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება არ მიაქციოს და გულ მტკივნეულად არ აღიაროს, რომ მოქმედება „კონტროლისა“ ამ შემთხვევაში არის ადამიანურს გრძნობასაც დაშორებული და უკანონოც; ესე იგი, „კონტროლს“ არც ფორმალური [illegible] უფლება არა ჰქონდა ამ გვარად მოქცეულიყო **).

რკინის გზის გამგეობის წესდების ძალით, როდესაც კასირი მოგზაურს ნახევარს ბილეთს აძლევს ბავშვისათვის, — მოვალეა, თვით ჰნახოს ბავშვი და კარგათ დაუკვირდეს: თუ კასირი დარწმუნდება, რომ ბავშვისათვის ნახევარი ბილეთი სრულიად საკმარისია, ნახევარს ბილეთს მისცემს. ამ გვარად ყოველივე პასუხის გება შეცდომის დროს „კონტროლისაგან“ უნდა მოეთხოვოს კასირს და არა სხვას ვისმე, მეტადრე პატარა ბალღს, რომელიც არაფერს შუაშია.

ამას ითხოვს წესდება, სამართალი და ამას ითხოვს კეთილ გონიერებაც!

თუ რომ „კონტროლი“ ამ ზემო აღნიშნულს გარემოებას მიაქცევდა ყურადღებას და რომელიმე განყენებულის, ჩვენგან მოუფიქრებელის მოსაზრებით არ იხელმძღვანელებდა,—მაშინ, რკინის გზის იმავ წესდების ძალით, რომელიც ბევრჯელ და სრულიად ნათლად განმარტებულია მინისტრისაგან, იძულებული იყო—მოგზაურნი წარედგინა უმახლობელესს სადგურზედ უფროსისათვის ჯარიმის გარდასახდელად. ამითი გათავდებოდა მისი მოვალეობა. ესეც ვიცით, რომ თუ რო- [illegible] არ გარდიხდის ჯარიმას, ან იმიტომ, რომ არა აქვს, ანუ არა ჰსურს ნებით გარდიხადოს,—მაშინ სადგურის უფროსის ცრთად-ერთი მოვალეობა და უფლება ის არის, რომ ოქმი შეუდგინოს ამ მოგზაურს და წარუდგინოს მომრიგებელ-მოსასართლეს, რათა მან განჩინების ძალით გარდაახდევინოს ეს ჯარიმა წესის დამარღვეველს.

ხოლო დატუსაღება, შეპყრობა მოგზაურისა იმ დრომდის, სანამდის ის ჯარიმას არ გარდიხდის, არამც თუ არ არის ნება-დართული და სანქციად ცნობილი კანონისაგან, არამედ ამგვარი მოქმედება თვით-ნებელობად ჩაითვლება და უსამართლოდ შეპყრობილს აძლევს უფლებას ითხოვოს უკანონოდ მომქმედის დასჯა!..

ესეც რომ არ იყოს, უბრალო, გაცობრიული გრძნობა ითხოვდა, არ მოეჭპყრობოდენ „კონტროლი“ და სადგურის უფროსი ასე სასტიკად პატარა ბავშვებს და არ დაეგდოთ, ისინი „ორის დღის განმავლობაში მშიერ-მწყურვალნი და თვალცრემლიანნი“!.. კიდევ კარგი, რომ თერთმეტის წლის არდიშვილს ბიჭი ჰხლებია, რომელსაც დაუხსნია თავისი ბატონიშვილი ტყვეობიდგან იმით, რომ თავისი ხანჯალი დაუგირავებია; მაგრამ რა ყოფასა და დღეში იქმნებოდნენ დანარჩენი თერთმეტი ბავშვი, რომელთაც ხანჯლიანს ბიჭები არა ჰხლებიათ?!.

კანონი რუსეთისა და სხვა ერთა კანონიც იმას მოითხოვს, რომ, როდესაც მცირე-წლოვანის მოქრაიმე ეზარალება და ზარალი უნდა აღადგინონ,—მაშინ კანონის წინაშე პასუხის მგებელად არის არა მცირე-წლოვანი, არამედ მისი მშობელი, ანუ მზრუნველი..

თუ სიბრალულით არა, ამ საერო კანონ-დებულებით მაინც უნდა ეხელმძღვანელათ, რომ ასცდე-

*) ამ წერილმა ჩვენგან დამოუკიდებელის მიზეზების გამო დაიგვიანა.

**) ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ მარტო „კონტროლი“-კი არარის დამნაშავე, არამედ —სადგურის უფროსიც, რომელმაც ასეთი უკანონო სურვილი პირველსა სისრულეში მოიყვანა.

# ფელეტონი

### ჩვენის ინტელიგენციისადმი!

როგორც „ივერიის“ მკითხველებმა უწყიან, ამას წინად ერთის უნივერსიტეტის ქართველმა სტუდენტებმა განუცხადეს „ივერიის“ რედაქციას თავისი სურვილი, რომ დაარსებულ იქმნას ჩვენში სტატისტიკური ბიურო ჩვენის ხალხის მდგომარეობის ყოველ მხრივ შესასწავლად. ეს საქმე ისე სამნიშვნელოა, რომ უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს და, ამიტომ მათს სურვილს ჩვენც სულითა და გულით ვუერთდებით.

წინ-და-წინ თქმა იმისი, რომ მთავრობა ასეთის ბიუროს დაარსების ნებას არ მოგვცემსო, წინ-და-წინ ამგვარად გარდაწყვეტა და თავის დანებება საქმისა, ჩვენის ფიქრით დიდი შეცდომა იქნება. ვეცადოთ და იქნება უნაყოფოდ არ ჩაიაროს ჩვენმა მეცადინეობამ!

ჩვენის ქვეყნის ეკონომიური ვითარებისა თითქმის არა ვიცით-რა; რაც თქმულა დღემდის ამ საგანზედ, ყოველივე დაუსაბუთებელი, დაუჭეშმარიტებელია. ზოგსა ჰგონია, რომ ჩვენის გლეხის ბედ-იღბალი თან-და-თან უმჯობესდება, რომ თავადისა და აზნაურის ადგილ-მამული გლეხის ხელში გადადის, რომ გლეხი მდიდრდება და თავადი და აზნაური-კი კოტრდებიან; ზოგი-კი ასე ფიქრობს, რომ გლეხიც და თავად-აზნაურიც ორივე ერთგვარს გაჭირვებაში იმყოფებიან, ორივე ერთგვარად მიდიან სისაწყლისა და სიღარიბის გზაზედ; ზოგი მოელის შველას ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებისაგან; ამ აზრის მომხრეების ფიქრით, ხალხის კეთილდღეობა იქ უფრო მაღლა დგას, სადაც უფრო ფეხი მოუკიდებია აღებმიცემობას; ამის მოწინააღმდეგეებიკი სულ სხვანაირად ფიქრობენ. ზოგსა ჰგონია, რომ ჩვენს ერს თან-და-თან ემატება ვალი, ზოგს-კი,—რომ თან-და თან აკლდება. ზოგი ფიქრობს, რომ ჩვენის ერის სასმელ-საჭმელი თან-და-თან უმჯობესდება, ზოგი-კი სრულიად ამის წინააღმდეგია. ზოგის ფიქრით, ჩვენი ხალხის ჯან-მთელობა თან-და-თან მატულობს, ზოგის ფიქრით-კი,—თან-და-თან კლებულობს... და თითოეულს ამ აზრთაგანს იმდენივე საფუძველი აქვს, რამდენიც მისს წინააღმდეგს. და ამიტომაც არის, რომ ჯერ ჩვენში არავინ არა დგას მტკიცედ თავისს აზრზედ და ძალიან ხშირად დღეს ერთის რომელიმე აზრის აღმასრულებელი ხვალ სულ სხვა აზრზედ გადადის. ჩვენ არა გვაქვს მტკიცე საფუძველი, რომელზედაც უნდა დავამყაროთ ჩვენი ძიება ჭეშმარიტებისა. ყოველი ჩვენი აზრი, შეხედულება, ქვიშაზეა აშენებული და საკმაოა, მცირეოდენმა ქარმა შეუბეროს, რომ აღიგავოს, გაჰქარდეს.

დიაღ, თუ გვინდა ჩვენი ცხოვრება შევისწავლოთ, თუ ჩვენის თავის ბედ-იღბალი გვეინტერესება, უნდა გავიჩინოთ სტატისტიკა; ექიმი ავადმყოფებს როგორ მოარჩენს ისე, თუკი მიზეზი არ იცის ავადმყოფობისა?!

ისეთის ბიუროს დაარსება, რომ მთელს ჩვენს ქვეყანაში ჰმოქმედებდეს, ჩვენ არ შეგვიძლიან. რაიონი მოქმედებისა, აქედგანვე უნდა წარმოვიდგინოთ, ძლიერ ვიწრო იქნება. ბიურომ უნდა დაიწყოს მოქმედება, ჩვენის ფიქრით როდესაც შეგროვდება იმდენი ფული, რომ 3—6 სოფლის სტატისტიკურს კვლევას გაუძლვეს.

ეს სოფლები უნდა იყვნენ სამგვარის ტიპისა: 1) ისეთი სოფლები, რომელთაცა აქვთ ბაზარი, 2) ისეთები, რომელთაც ბაზარი არა აქვთ და 3) ისეთები, რომელთაც, ამ მხრივ შუა ალაგი უჭირავთ.

ამგვარად მიტომ უნდა დაიყოს სოფლები, რომ უმთავრესი მნიშვნელობა ახლანდელს ეკონომიურს ცხოვრებაში ფულსა, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, ვაჭრობასა და მრეწველობასა აქვს. ამიტომ საჭიროა ვიცოდეთ, როგორ ჰმოქმედებს ვაჭრობა ხალხის კეთილ-დღეობაზედ.

ხალხის ეკონომიურს მდგომარეობაზედ, არა ნაკლები გავლენა აქვს, რასაკვირველია, ადგილ-მამულის რაოდენობასა და ღირსებას. მაგრამ ცხადია, რომ თუ სხვა პირობები სწორი არიან, რაც მეტი და უკეთესის ღირსების ადგილი აქვს სოფელს, მით უფრო კეთილ-დღეობაშია იგი. აი ამიტომ უნდა დაიყოს შესასწავლი სოფლები იმის მიხედვით, აქვთ თუ არა აქვთ ბაზარი, და არა იმის მიხედვით, რამდენით მეტ-ნაკლები ადგილი აქვთ, რიცხვით თუ ღირსებით, მით უფრო, რომ ადგილ-მამულის მეტ-ნაკლებობის გავლენა თითოეულს სოფელშიაც იქნება შესწავლილი სხვა-და-სხვა ოჯახების ერთმანეთთან შედარებით.

სტატისტიკურმა ბიურომ უნდა შეკრიბოს შემდეგი ცნობები: 1) როგორი ბაზარი აქვს სოფელს და რა სიშორეზედ; 2) როგორია მიწის ნიადაგი; რა კულტურა არის შესაძლებელი. შემდეგი კითხვები უნდა შეიკრიბოს ყოველს წლისა-და-წლის თავზედ; 3) რამდენი მოსახლეა გლეხი, რამდენი თავადი, რამდენი აზნაური და რამდენი სასულიერო წოდების წარმომადგენელი; 4) რამდენია ინტელიგენტი; 5) რამდენია უმიწა-წყლო და რა იყო უახლოესი მიზეზი, რომ მათ საკუთრება დაეკარგათ. შემდეგ უნდა შეიკრიბოს ხოლმე დაწვრილებით, განურჩევლად წოდებისა, თითოეული ოჯახის შესახებ; 6) რამდენი სულია თითოეულს ოჯახში, რამდენი მამობრივი და რამდენი დედობრივი სქესისა და ვინ რამდენის წლისა არის; 7) რამდენი დაიბადა და როდის; 8) რამდენი მოკვდა, როდის და რით; 9) რამდენი იყო ავად წლის განმავლობაში და რით; 10) რამდენი სწავლობდა სასწავლებელში, რამდენი სწავლობდა მამობრივისა და რამდენი დედობრივის სქესისა; 11) რამდენი იყო წერა-კითხვის მცოდნე; 12) რამდენი ოჯახის წევრი მუშაობდა გარეთ, სად და რა ფასად; 13) ზამთარში კაცი

ნოდენ იმ საქციელს, რომლისათვისაც, რასაკვირველია, ტაშს არავინ დაუკრავს...

მაგრამ როგორც სჩანს, იმათ ყოველივე ეს დავიწყებიათ; სახელმძღვანელოდ მიუღიათ მხოლოდ თვისი უგანონო სურვილი და ბავშვები ორნაირად დაუსჯიათ: ერთი, რომ იგინი ყინვასა და შიმშილისთვის მიუნებებიათ და მეორე, რომ ორს დღეს დაუბრკოლებიათ დროზედ სასწავლებელში მისულიყვნენ.

აბა, სამართლიანობა და გმირობაც ამასა ჰქვიან!..

შროშანი.

# ახალი ამბავი

*** ჩვენ უკვე ვაუწყეთ ჩვენს მკითხველებს, რომ ტფილისის ქალაქის მოურავი პ. ა. იზმაილოვი, რომელიც ამ ჟამად პეტერბურგში იმყოფება საქალაქო საქმეების გამო, იქ ავად გახდა ჯერ ინფლუენცათი და შემდეგ ფილტვების ანთებით. გუშინ, 3 მარტს, მისის მეუღლის ქ-ნ იზმაილოვისაგან დეპეშა მოუვიდა ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელს ა. ა. ივანენკოს, რომ, ექიმების აზრით, ავადმყოფი დიდად საშიშსა და საფრთხილო მდგომარეობაში იმყოფებაო. კრიზისს ავადმყოფობისას დღეს ველითო. გუშინვე ქალაქის გამგეობამ დეპეშითა სთხოვა სამხედრო სამკურნალო აკადემიის პროფესორს თავ. ივანე რამაზის ძეს თარხან-მოურავს, ნამდვილად შეგვატყობინეთ, რა მდგომარეობაში იმყოფება ავადმყოფი.

[illegible] რულდა მას შემდეგ, რაც პროფესორი პეტერბურგის სამხედრო სამკურნალო აკადემიისა თავადი ივანე რამაზის ძე თარხან-მოურავი ჰმოლვაწეობს ამ თანამდებობაზედ. გუშინ, 3 მარტს, ტფილისიდგან დიდ-ძალი მისალოცი დეპეშა გაიგზავნა პეტერბურგს თავ. თარხან-მოურავის სახელობაზედ. სხვათა შორის, ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელმა ბ-ნმა ა. ა. ივანენკომ შემდეგის შინაარსის დეპეშა გაუგზავნა:

„ტფილისის ქალაქის თვით-მმართველობის სახელით გულ-წრფელად მოგილოცავთ მეცნიერებისა და საზოგადოების სასარგებლოდ თქვენის განათლებულის მოღვაწეობის 25-ის წლის თავს. ვისურვებთ, რომ უფალმა ჯან-მრთელად გამყოფოთ მრავალჟამიერ“.

*** ერევნის გუბერნატორი გენერალი ფრეზე, გუშინ ტფილისს ჩამოვიდა.

*** რადგანაც ამ უკანასკნელს დღეებში ტფილისში ყვავილით ავადმყოფობა გაჩნდა, ექიმმა სტეფანოვმა განკარგულება მოახდინა, რომ სასანიტარო ექიმებმა სია შეადგინონ იმ ბავშვთა, რომელთაც ყვავილი არა აქვთ აცრილი და მათ უფასოდ ყვავილი აუცრან.

*** ჩაქვის ახლოს, გვირაბთან, ზღვის ფრთონვამ დაანგრია კედელი, რომელიც იცავდა რკინის გზის ლიანდაგს ზღვის ტალღებისაგან.

*** როდესაც ანჩის-ხატის საკრებულო ტაძარში პანაშვიდი გარდაიხადეს განსვენებულის დიდის მთავრის ალექსი მიხეილის ძის სულის მოსახსენებლად, ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურობის წინამძღოლმა თავადმა კ. მუხრანსკიმ სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა დიდს მთავარს ნიკოლოზ მიხეილის ძეს, რომელზედაც შემდეგი პასუხი მიიღო:

„გთხოვთ, გარდასცეთ ტფილისის გუბერნიის [illegible] ჩემი უგულითადესი მადლობა გულმხურვალე მონაწილეობისათვის.

მიხეილი“.

*** ქ. ქუთაისის მოურავმა ბ-ნმა ლოლუამ მისს იმპერატორებითს უმაღლესობას დიდს მთავარს ნიკოლოზ მიხეილის ძეს ქუთათურთა სახელით სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა და შემდეგი პასუხი მოუვიდა:

„დიდად მასიამოვნა იმან, რომ ქუთათურებმა მონაწილეობა მიიღეს ჩემს ახალს მწუხარებაში.

ყველას გმადლობთ.

„მიხეილი“

*** პირველ იანვრიდგან 1 მარტამდე „წერა-კითხვის საზოგადოების“ ორივე სამკვითხველოში მუდმივი მკითხველი და წიგნების შინ წამღები ყოფილა 232, მათში 28 ხელოსანი, 20 მუშა და დანარჩენი-კი ზოგი მოწაფეები, ზოგიც მასწავლებელნი.

*** ტფილისის ზოგიერთს ქუჩაზედ მეურმეებს აღკრძალული აქვთ გავლა. ეს შეიძლება ბევრმა მათგანმა არ იცის და მოექცევა თუ არა ამ გვარს ქუჩაზედ, ვაი იმისი ბრალი!.. პოლიციელი მივარდება ხოლმე და, ვიდრე აღკრძალულს ადგილს გასცდებოდეს, ულმერთოდ სცემს. საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ გვარს უწესო საქციელს.

*** გაზეთ „ნოვ. ობოზრ.“-ს საკუთარი კორესპონდენტი ატყობინებს: გუშინ, 28 თებერვალს, მიწათმოქმედების მინისტრის თავმჯდომარეობით დაიწყო კრებები პეტერბურგში ახლად მოწვეულის რუსეთის საფილოქსერო დასების წარმომადგენელთა. პირველი კრება დაიწყო მინისტრის სიტყვით, რომელშიაც მან განმარტა ახლანდელი არასანატრელი მდგომარეობა საფილოქსერო საქმისა რუსეთში და დაახლოვებით აღნიშნა ის კანონები და ცვლილებანი, რომელნიც სამინისტროს განუზ- [illegible] მოიწვია მინისტრმა ეს კრება. 1895 წლისათვის ფილოქსერის საქმეზედ გადადებულია 270,000 მ., 45,000 მან. უკვე გაიგზავნა კავკასიაში პირველ-დაწყებითის ხარჯისათვის.

„ბედნიერია ის ერი, სადაც ხოლო მეცნიერთა-კი არა, არამედ ხალხმაც იცის კანონები“.

ბეკარი.

სამართლიანობა და სჯულ-მდებლობა უპირველესი საჭიროება არის ყოველის საზოგადოებისათვის; უამათოდ საზოგადოება სწუხს ხოლმე ბოროტ-მოქმედებისაგან და ავკაცობისაგან. ამის გამო ყველგან, ყოველს მოწყობილს სახელმწიფოში, მთავრობის უმთავრესს ზრუნვას შეადგენს სჯულის წეს-წყობილების გაუმჯობესება.

საუბედუროდ, არამც თუ მე-XVIII საუკუნეში, როცა იტალიელმა მეცნიერმა, ბეკარიამ, ზემოთ მოყვანილი ჭეშმარიტება წარმოსთქვა თავისს უკვდავ თხზულებაში „de deliti et di le poene“, არამედ ეხლაც, მეცხრამეტე საუკუნის დამლევშიაც, კანონ-მდებლობის ცოდნა წარმოადგენს მარტო მეცნიერების [1])—იურისტების საკუთრებას: ახლაც უმეტესს ნაწილს ერისას არა ესმის-რა კანონებისა და ამ უცოდინარობის გამო გახდებიან ხოლმე მსხვერპლნი კანონებში გამოცდილ კაცთა ეშმაკობისა და მოხერხებისა.

იმაში, თუ რა სამწუხარო შედეგი მოსდევს სოფლელების მიერ კანონების უცოდინარობას, მკითხველი დარწმუნდება შემდეგის ფაქტისაგან. რამოდენიმე თვეა მას შემდეგ, რაც ერთს სოფლელს ოჯახს დიდი უბედურება შეემთხვა: ერთმა ქალაქელმა ყმაწვილმა კაცმა ისარგებლა გლეხის მიერ კანონების უცოდინარობით და დაიმტკიცა თავისს სახელზედ მთელი იმისი ქონება.

ხანში შესულს დიდმელს გლეხს ამ მოკლე ხანში შეერთო ახალგაზდა [illegible] გარდაექცა ქალაქში გადასახლება და ქალაქურის სიამოვნებით დატკბობა. სურვილის ასასრულებლად ცოლი ჩააცივდა თავისს ქმარს, მამული გაყიდე, ქალაქში გადავსახლდეთ და იქ ვიცხოვროთო. ქმარი უარს ამბობდა, მაგრამ, ცოლმა ქადილი დაიწყო: გაგეყრებიო. სიყვარულმა დასძლია და ქმარმა გადასწყვიტა თავისის მამულის გაყიდვა. ეს ამბავი როგორღაც შეეტყო ერთს ფეთფებელის შვილსა და სიჩქარით გაფრენილიყო ქალაქიდგან სოფ. დიდომს. ეწვია გლეხს და პირველ სიტყვიდგანვე ისე დიპლომატიურად მოაწყო თავისი განზრახვა, რომ გლეხს უკანასკნელ წუთამდის ის ღმერთისაგან მოგზავნილ მშველელად ეგონა. „ბიძია გრცხვენოდეს, ქართულად ნუ იქცევიო“, ეუბნებოდა მოხუცს ფეთფებელის შვილი: „ქართველები დაჩვეულები ხართ მამულის გაყიდვასაო! სჯობს მამული დააგირაო ბანკშიო; მამულიც დაგრჩება, ფულსაც აიღებო“, არიგებდა მოხუცს გულ-შემატკივარი სტუმარი.

დარიგება გათავდა იმით, რომ მოხუცმა ფეთფებელის შვილს „დოვერრენოსტი“ მისცა მამულის ბანკში დასაგირავებლად. მამულის დაგირავება იმან ვერ მოახერხა და ერთის კვირის შემდეგ გამოუცხადა მოხუცს: ბანკში შენს მამულს არ იგირავებენო. ფეთფებელის შვილმა მოხუცის ცოლს ამის მიზეზიც აუხსნა. „სხვებსა ჰშურთ შენი სიკეთე; არ უნდათ, რომ შენ სინათლეში გამოხვიდე და გიმტრესო, ბანკის მოხელეებს სთხოვეს თქვენი მამული არ დაიგირავონო“. ჯიბრმა იმოქმედა და ქალი აუხირდა თავისს მოხუცს ქმარს: მამული ჩქარა გაჰყიდეო. მოხუცმა მიჰმართა თავის მშველელს: მამულის მყიდველი მიშოვეო. ფეთფებელის შვილმა უპასუხა: „თუმცა მამულის ყიდვა მეზარებაო, მაგრამ რას ვიზავ, ისევ მე თუ ვიყიდი, თორემ ახლანდელ უფულობაში სხვა მყიდველს ვერ ვიშოვითო. მოხუცი მოურიგდა მყიდველს 2500 მ. გაიარა ერთმა კვირამ; ერთს (უთუოდ მოღრუბლულს) დილას მოხუცის დარბაზს მიადგა ეტლი. „აბა,

[1]) იმერეთში მრავალია, რომ მთელი კანონები რუსეთისა ზეპირად იციან, მაგ. დავით ნოზაძემ, მაგრამ, იმედი გვაქვს, არც ის ინებებს ჩათვალოს თავისი თავი მეცნიერთა რიცხვში.

რედ.

და ქალი რას აკეთებდნენ, ვინ სად და რა ფასად მუშაობდა; 14) რამდენი ადგილი აქვს თითო ოჯახს; 15) რამდენი ადგილი შეიძინა და ვისგან; 16 რამდენი გაყიდა და ვის მიჰყიდა; 17) რამდენი ადგილი დაიმუშავა წლის განმავლობაში, რამდენი თავისი და რამდენი ვისი და სად რა ჰქონდა დამუშავებული; 18) რამდენი მოუვიდა ჰირნახული და რა; 19) რას უხდიდა მიწის პატრონს ღალას; 20) რამდენს ქცევაზედ ჰქონდა ნაკელი (პატივი) დაყრილი და, სახელდობრ, რაგვარი კულტურის მიწაზედ: ვენახზედ, ბაღზედ, ბოსტანზედ თუ ყანაზედ; 21) რამდენი ჰყავდა ხარი, ძროხა, ცხენი, კამეჩი, თხა, ცხვარი, ვირი და სხ. 22) რამდენი ჰქონდა სათიბი; 23) რამდენი ჰქონდა საბალახე თავისი და სხვისი; რას იხდიდა სხვისაში; 24) რამდენი ჰქონდა ტყე; 25) რამდენი ჰქონდა ვენახი; 26) რამდენი ჰქონდა თუთის ხე, ბაღი, ბოსტანი; 27) რამდენი ჰქონდა წლის განმავლობაში და რამდენი წლის გასულს წისქვილი და რამდენ-ქვიანი; რამდენს ახდევინებდა წისქვილი; 28) რამდენი აქვს შენობა, რა-და-რა, რა მასალისა და რა ფასისა; 29) ჰყიდდა, თუ ყიდულობდა ოჯახი ჰირნახულს, რას, რამდენს და რა ფასად ჰყიდდა და რას, რამდენს და რა ფასად ყიდულობდა; 30) შოულობდა თუ არა ნანადირევს, თევზს და რამდენს; რამდენი გაყიდა და რა ფასად წლის განმავლობაში; 31) რამდენი იყო ოჯახში მუშა ხელი, კაცი თუ ქალი: ხურო, კალატოზი, დურგალი, მჭედელი, მქსოველი, თერძი, ხარაზი, მესაზანდრე და სხ. და სხ. 32) ჰყიდდნენ თუ არა ხელ-საქმეს, რას, რამდენს და რა ფასად; 33) ამზადებდნენ თუ არა შინ თავის ჩასაცმელ-დასახურავს, საზოგადოდ თავის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებელს საგნებს და სახელდობრ რას; მცირდება თუ არა ამგვარი წარმოება; 34) რამდენისა იყიდა ოჯახმა წლის განმავლობაში ტანსაცმელი, საინი, ჭიქა, წუმწუბა, ნავთი, საპონი, საზოგადოდ საქარხნო ნაწარმოები; 35) რამდენი ჰქონდა სკა, რამდენისა გაყიდა სანთელი და თაფლი, რამდენი მოუვიდა და რამდენი და რა ფასად გაყიდა აბრეშუმი, ბამბა, თუთუნი და სხვა; 36) რამდენი ჰყავდა, რამდენი და რა ფასად გაჰყიდა ქათამი, ბატი, ინდოური, იხვი და სხვა.; რამდენისა გაყიდა კვერცხი, ყველი, რძე, ერბო და სხვა-და-სხვა; 37) რამდენის გაჰყიდა ყავარი, ფიცარი, ძელი, ლარტყა, შეშა და სხ., თავისი ტყისა და სხვისა, რას უხდიდა ტყის პატრონს; 38) რამდენი ხარჯი მოუვიდა კაი დღეებზედ, ქორწილზე, ტირილზე, და სხ. 39) რამდენი აქვს ოჯახს ვალი და რა სარგებლითა აქვს აღებული; 40) რამდენი ვალი დაედო წლის განმავლობაში და რა სარგებლით; 41) რამდენი თავნი და სარგებელი გადიხადა; ფულით გადიხადა თუ ჰირნახულით; რა ფასში აძლევდა კრედიტორს ჰირნახულს; 42) რამდენი გადაჰხდა ოჯახს სახელმწიფო გადასახადი და რამდენი სასოფლო; 43) რამდენი დრო გააცდინა და რა იზარალა ფულით სხვა-და-სხვა სახელმწიფო და სასოფლო მავალეობის ასრულებით; 44) სასამართლოში ხომ არავის ჰქონია ოჯახის წევრთაგანს საქმე და რა საქმე ჰქონდა; 45) რამდენი დაეხარჯა ოჯახს ეკკლესიის აშენებაში; 46) როგორი იყო მიწისმფლობელობა, საერთო თუ სასაკუთრო, რაზედ იყო საერთო და რაზედ სასაკუთრო; როგორ უყურებენ მფლობელები საერთო საკუთრებას, როგორც დროებითს თუ როგორც სამუდამოს; 47) რამდენი ფართლისა, საწვრილმანო და სამიკიტნო დუქანია სოფელში, რამდენი მოემატა წლის განმავლობაში; 48) სამედიცინო შემოწმება ოჯახის წევრების ჯან-მთელობისა.

ჩვენ ეს საკითხები აქ მხოლოდ ნიმუშად მოგვყავს მათი დაწვრილებითი შემუშავება სტატისტიკურ საზოგადოების საქმე იქნება. ხოლო ხსენებულს საკითხებს ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვთ, რომ ჩვენის ფიქრით, არც ერთს მათგანს არ უნდა აუაროს სტატისტიკურმა კვლევამ გვერდი.

თუ ყოველს წლისა-და-წლის თავზედ ამგვარს ცნობებს შევკრებთ, მაშინ დაახლოვებით მაინც შევიტყობთ, როგორ ჰმოქმედებს კაპიტალიზმი ჩვენში, მტერია იგი ჩვენი თუ მოყვარე; ვინ მიჰყავს მას წინ და ვინ უკან.

და მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი დავერწმუნოთ და დავადგეთ მტკიცედ ამა თუ იმ გზას, მხოლოდ მაშინ ვიქნებით ფეხ-მარჯვედ ჩვენს მიმართულებაზედ. უამგვარცნობებოდ-კი ჩვენის რწმენის სიმაგრე და სიმტკიცე და ჩვენი საზოგადო მოღვაწეობა შეუძლებელი იქნება.

ჩვენ თანახმა ვართ „ივერიისა“, რომ საჭიროა გამოქვეყნდეს ის ცნობები, რომელნიცა აქვს შეკრებილი ცენტრალურს სტატისტიკურს ბიუროს. თუმცა ეს ცნობები რიგიანად ვერ იკრიბებოდნენ და თუმცა იგინი უყურადღებოდ სტოვებენ გლეხის ცხოვრების ბევრს დიდ-მნიშვნელოვანს მხარეებს, მაგრამ, როგორც დამატება სხვა საზოგადოებათა შეკრებილის ცნობებისა, ძლიერ სასარგებლო იქნებიან.

ამიტომ მოვუწოდებთ ჩვენს ინტელიგენციას, ნუ დაიშურებს მცირე შრომასა და მცირე ხარჯს ამ დიდად-სამნიშვნელო საქმისათვის, რათა შეადგინოს სტატისტიკური საზოგადოება! მცირე შრომასა და მცირე ხარჯსათქო, ვამბობთ, რადგან ამ საქმეს მხოლოდ მცირე შრომა და მცირე ხარჯი მოუნდება. ვისაც ხელი არ აუღია ყოველგვარს საზოგადო მოვალეობაზედ, ვისაც საზოგადო საქმე არ დაჰვიწყებია და საკუთარის „მე“-ს მეტი ახსოვს რამე კიდევ, ვის გულშიაც ჯერ კიდევ არ გამქრალა თანაგრძნობა მოძმისადმი, ვისაცა ჰსურს, რომ გაკეთდეს რამე ჩვენის ჩაგრულის ხალხის კეთილ-დღეობისათვის, მოვუწოდებთ ითავოს ეს, თუმცა ადვილი, მაგრამ მნიშვნელობით სავსე საქმე, ურომლისოდაც ვერ გადაწყდება ვერც ერთი მიმართულება ჩვენს საზოგადო მოღვაწეობაში.

კიევის ქართველი სტუდენტები.

21 თებერვალი, 1895 წ.

შიო, ფაიტონში ჩამიჯექ, ჩქარა! ქალაქში წავიდეთ, „კუპჩა“ შევადგინოთ“, შეჰყვირა ფეთფებლის შვილმა... ჩამოვიდნენ ქალაქში. ფეთფებლის შვილმა დაარიგა მოხუცი: „რასაც გკითხავს ნოტარიუსი, უთხარი: ჰოო“!

„ბევრი ფული რომ არ დაგვეხარჯოს—დიდი პოშლინა (პოშლინაც აუხსნა რა არის) რომ არ მოგვთხოვონ, „კუპჩა“ 400 მანეთზედ შევადგინოთო. პოშლინის შესადგენათ საჭიროა, რომ შენ მოწმობა მომცე: ფულები მივიღეო“...

მოხუცმა ხელი მოაწერა ორს ქაღალდს: ერთი იყო „კუპჩა“, მეორე მოწმობა იმის შესახებ, რომ მოხუცმა ფეთფებლის შვილისაგან მიიღო ფული სრულად. ამის შემდეგ მოხუცმა პირობის ძალით ფეთფებლის შვილს ფული მოსთხოვა, რომელმაც ასე უპასუხა: „ორიოდე დღე მომიცადეო“. „ხომ იცი, რომ ვიდრე ამ „კუპჩას“ შენის დასწრებით უფროს ნოტარიუსთან არ შევამოწმებთ, მამული ისევ შენს ხელში არისო“.

მოხუცმა გასწია სოფელში და მისვლისათანავე გაახარა თავისი „კნეინა“: „ხვალ-ზეგ ფულს ავიღებთო“.

გაიარა რამდენმამე დღემ. ერთს დილას მოხუცის დარბაზს მიადგნენ სასამართლოს ბოქაული, ნამასახლისი და ფეთფებლის შვილი. ბოქაულმა აღწერა გლეხის მამული და საწყალს მოხუცს და იმისს „კნეინას“ გამოუცხადა: „დღეიდგან თქვენი მამული ამ ფეთფებლის შვილს ეკუთვნის და დააჩქარეთ სახლის დაცლაო“.

ამნაირად ფეთფებლის შვილმა გამოაცალა საწყალს გლეხს იმისი მამული და მთელი ოჯახი დარჩა ყელს გამოჭრილი: უმიწო-წყლოდ, ურარაოდ!

ამნაირი უსამართლოება, კანონის ძალით უკანონობა ბევრი მომხდარა ჩვენს სამშობლოში!..

სოფლელების მიერ კანონების უცოდინარობამ და ამის გამო წარმომდგარმა მრავალმა სამწუხარო შემთხვევამ დიდი ლაპარაკი ასტეხა რუსეთის ჟურნალ-გაზეთებში. ბევრი საშუალებაც იყო ნარჩევი ამ საზარალო გარემოების თავიდგან ასაცილებლად.

ჩვენს ქვეყანაში-კი კანონების უცოდინარობა, სხვათა შორის, გამოწვეულია იმითაც, რომ ჩვენ არა გვაქვს ქართულად გადმოთარგმნილი კანონები.

ამიტომაც დღევანდელ ერთ საჭირო საგნად ჩვენის ერისათვის უეჭველია კანონების ქართულს ენაზედ გადმოთარგმნაა *).

რასაკვირველია, ამ თარგმანს უნდა ჰქონდეს ისეთი ხასიათი, რომ ჩვენს სოფლელს ადვილად შეეძლოს იმისი გაგება; თარგმანი, ანუ უკეთა ვსთქვათ, სასამართლო სახელმძღვანელო უნდა, შეიცავდეს პრაქტიკულს დარიგებას, ახსნას იმისას, თუ როგორ უნდა მოახდინოს კაცმა ხოლმე სხვა-და-სხვა იურიდიული აქტი და რა შედეგი მოსდევს ზოგიერთს მოქმედებას, ზოგიერთს იურიდიულს ქცევას. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ჩვენს სოფლელებს არა ჰყავთ დამრიგებელი; არა ჰყავთ მრჩეველი: ზოგიერთს გადაკარგულს სოფლებში ერთს კაცსაც ვერ იპოვით რუსულის ენის მცოდნეს. ადვილად გასაგებია, რომ ასეთი მდგომარეობა აიძულებს სოფლელს თვით ჭეშმარიტებად და კანონებად აღიაროს ზოგჯერ უდიდესი უსამართლოებაც-კი. ვინც დაჰკვირვებია სოფლის ცხოვრებას, ის შეამჩნევდა, რომ სოფელში ზოგჯერ კანონის ძალით ისეთს უკანონობას ჩაიდენენ ხოლმე, რომ არც-კი გჯერა, რომ ეს შესაძლოა. ყველას ეცოდინება, რომ ჩვენ სოფლელს ზოგჯერ კანონის ძალით მშვენიერი სადილის გაკეთებასაც-კი მოსთხოვენ ხოლმე და ვინ იცის კიდევ რასა და რასა!

ამიტომაც, ჩვენის აზრით, დღეს ჩვენის ერისათვის აუცილებლად საჭიროა ხსენებულ კანონების ხელმძღვანელოების გამოცემა. რასაკვირველია, ჩვენი მუსიკის შესწავლას და ჩვენებურის კომპოზიციის გაჩენას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ არ დავივიწყოთ, რომ, მინამ ჩვენ ვეძებთ ჩვენის განაზებულ სხეულისათვის გასართობს ფაქტორს, ჩვენ სოფლებში უკანონობის და უსამართლობის გამო სოფლელებს საჭმელი ლუკმაც-კი ხელიდგან ეცლებათ.

გ. ი. გძელიშვილი.

*) როგორც გავიგეთ, განსვენებულს ესტატე ამაშუკელს, სრულიად გადათარგმნილი ჰქონია რუსული კანონები. სასურველია, რომ ჩვენმა იურისტებმა ისარგებლონ თარგმანით და შეიძინონ როგორმე და მალე გამოსცენ, რაიცა დიდი სიკეთე იქნება ხალხისათვის.

## კორესპონდენცია.

**ქ. ფოთი.** მოგეხსენებათ, რომ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა უკანონოდ სცნო 11 თებერვალს მომხდარი არჩევანი აქაურის ქალაქის გამგეობის მეორე წევრისა და უბრძანა საბჭოს ხელ-ახალის არჩევანის მოხდენა. 28 თებერვალს საბჭოს სხდომაზედ სხვა გარდასაწყვეტ საგანთა შორის ეს არჩევანიც მოხდა. კანდიდატებად დასახელებულ იყვნენ: მიხაილოვსკი, ყრუაშვილი, ხოშტარია, გუგუშვილი, ანცოვი და სხვები, რომელთაგან ყუთი დაიდგეს მიხაილოვსკიმ, ხოშტარიამ და გუგუშვილმა; დანარჩენთ კენჭის ყრაზედ უარი განაცხადეს; მაგრამ წარმოიდგინეთ განცვიფრება დამსწრე საზოგადოებისა და თითონ ხმოსნებისაც, რომ არც ერთი დასახელებულ კანდიდატთაგანი არ გათეთრდა. ამ შემთხვევამ აშკარად დაამტკიცა ის დაწილაევება და დასობანა, რომელიც ხმოსანთა შორის ყოფილა თურმე გამგეობის მეორე წევრის არჩევის შესახებ. ჯერ ამომრჩეველთა ორად გაყოფილი გუნდიც არევს და ააფორიაქებს მონასტერს, თორემ აქ თურმე იგივე გუნდი სამად და ოთხად იყო დანაწილებული და, რა თქმა უნდა, დიდად გამწვავდებოდა არჩევანი, რომ ქალაქის მოურავს არ მოეგონებინა ხმოსნებისათვის, უკეთუ ამ სხდომაზედ ეს არჩევანი კანონიერად არ გათავდა, მაშინ გუბერნიის უფროსი თქვენდა დაუკითხავად დანიშნავს ამ თანამდებობაზედ ვისაც კეთილ-ინებებსო. ამ სიტყვებმა თითქოს გამოაფხიზლეს დასობანობით დამთვრალნი ხმოსნები, რომელთა უმეტესმა ნაწილმაც მიჰმართა თხოვნით ლუარსაბ ყრუაშვილს, ყუთი დაიდგიო. ისიც დათანახმდა. ხუთმა, თუ ექვსმა ხმოსანმა-კი ისევ ანცოვი დაასახელა კანდიდატად. ამ ნაირად მეორედ კენჭი იყარეს ყრუაშვილმა და ანცოვმა; პირველმა მიიღო 25 თეთრი და ხუთი შავი, ხოლო მეორემ ხუთი თეთრი და ოც-და-ხუთი შავი. როგორც ხედავს მკითხველი, ყრუაშვილი არჩეულ იქმნა გამგეობის მეორე წევრად. ამ ამბავმა, ამ არეულის მონასტრის ასე გამოწყობამ დიდად ასიამოვნა ყველანი. ასე გასინჯეთ, თითონ გაშავ-კენჭებულნიც კმაყოფილნი დარჩნენ ყრუაშვილის არჩევით. არც საკვირველია, რადგანაც ბ-ნ ყრუაშვილს იცნობს საზოგადოება, როგორც უანგარო მოხელეს (აქაურ მომრიგებელ სასამართლოს მდივანია) და პატიოსანს ადამიანს, რომელსაც ამ სიკეთესთან ერთად ის ღირსებაცა აქვს, რომ გამრჯელი კაცია და ქალაქის შინაურ მდგომარეობის კარგი მცოდნე.

ლ. წულაძე.

—

**დაბა სამტრედია.** აქ კინაღამ ერთი უბედურება მოხდა. სადგურის მახლობელ დუქანში „კონდუქტორები“ შესულან სადილის საჭმელად, სადაც ბოთლი ბოთლზედ მიუყოლებიათ და ისე უზომოდ დამთვრალან, რომ ანგარიშის გაუსწორებლად მიდიოდნენ; რასაკვირველია, უფულოდ არ გაუშვებდა დახლიდარი და, ამაზედ ასტყდა ჩხუბი, ერთი ორონტრიალი, კეტი, ხანჯალი და ლევორვერის სროლა. ყველაფერი ერთმანეთში იყო არეული საქმე ცუდათ იქნებოდა, რომ ბოქაული დროზედ არ მოსწრებოდა; ბოლოს როცა დალაგდნენ, აღმოჩნდა ორი კონდუქტორთაგანი დაშავებული და ერთიც იქვე მეზობლის დახლიდარი ხელში მძიმედ დაჭრილი, ასე რომ საეჭვოა, ხელი არ გაუფუჭდეს, ეს უკანასკნელი სჩანს მაჩხუარების გამშველებლად ყოფილა. სასურველია, ადგილობრივმა ბოქაულმა იყოლიოს საიმედო დარაჯები თუნდაც ჩვენის ხარჯით, რომელთაც შეეძლოთ ასეთის უწესოების მცირედაც არის შეზღუდვა.

ვაჭართაგანი.

1895 წ.
მარტის 2-სა.

—

**სოფელ საირმე,** (ლეჩხუმის მაზრა). 19 თებერვალს ჩვენის სოფლის სკოლის მასწავლებელი ეკკლესიაზედ გახლდათ მოწაფეებითურთ და განზრახვა ჰქონდათ ეგალობნათ წირვაზედ. ხალხი მოუთმენლად ელოდა ამ სასიხარულო შემთხვევას, რომ გავიგონებთ ჩვენის შვილების გალობასაო. დაიწყო წირვა და ბავშვებმაც მასწავლებლის ხელმძღვანელობით რამდენჯერმე იგალობეს ,,უფალო შეგვიწყალე“. ყველამ სიამოვნება იგრძნო, ყველა ხმა-გაკმედილი ყურს უგდებდა, მაგრამ ეს სიამოვნება სრულიად ჩაგვამწარა ჩვენმა სულიერმა მოძღვარმა მ. კალისტრატე გაბიანმა. მ. კალისტრატე გაბიანის ბრძანებით მისმა ხელქვეითებმა ხელის კვრით განდევნეს ეკკლესიიდგან მასწავლებელიც და მოწაფეებიც. საშინლად გაგვაკვირვა ამ ამბავმა; ყველანი ერთმანეთს ვეკითხებოდით: რა ამბავია, რისთვის გარეკეს კარში მასწავლებელი და ბავშვებიო. რასაკვირველია, ეკკლესიაში რას იტყოდა ბ. მასწავლებელი და წირვის შემდეგ ჰკითხა მ. კალისტრატეს ამისთანა საქციელის მიზეზი და პასუხად ის მიიღო, რომ „მე არა მსურს, ჩემს ეკკლესიაში განახოთ, არ გაძლევთ ნებას ეკკლესიაში ფეხი შემოსდგათ და თუ ამას იქით ამოსულხართ, წელს ავათრევინებ თქვენთვის და ისე გაგისტუმრებთო“.

ხალხი გაოცებული შესცქეროდა თავისს მოძღვარს და სიბრაზისაგან კბილებს აკრაჭუნებდა, მაგრამ მოითმინა და არა უთხრა რა სულიერს მამას, მხოლოდ საუკუნოდ სიძულვილი-კი დაინერგა ყველას გულში მოძღვარისადმი. არ გვესმის სწორედ, ამ მოძღვრის საქციელი რამ გამოიწვია... მაგრამ რაც უნდა მიზეზი ჰქონოდა, იმ დროს მაინც ამისთანა საქციელს ადგილი არა ჰქონდა. თუ არ ჰსურდა მ. კალისტრატეს, რომ ბავშვებს ეგალობნა, ეს მასწავლებლისათვის უნდა ეთქვა და არ დაიწყებდნენ გალობას. *)

მასწ. თომა კევლიშვილი.

*) ვბეჭდავთ ამ წერილს, მაგრამ სხვათ მიგვაჩნია ამგვარი საქციელი იმ წოდების კაცისა, რომლის პირველი მოვალეობა და თვისება უნდა იყოს სათნოება და არა შეუფერებელი გულის-წყრომა.

რედ.

## რუსეთის ცხოვრება.

პროფესორი ივ. რ. თარხნიშვილი მარტიდგან დაიწყებს პეტერბურგის უნივერსიტეტში ლექციების კითხვას.

—

ახლად გარდაცვალებულს რუსის მწერალს ლესკოვს საყურადღებო ლიტერატურული მოგონებანი დაუტოვებია, რომელიც მალე დაიბეჭდება.

—

საბოლოოდ გარდასწყდა დედათა სამკურნალო ინსტიტუტის დაარსება.

—

პალმის საქმე, რომელიც კასაციის წესით ბრალმდებელმა სენატში გადიტანა, 14 მარტს იქნება გარჩეული.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** ამ მოკლე ხანში უმწვერვალეს მემარცხენეთა მოთავე კლემანსო დასტამბავს თავისს თხზულებას ,,სოციალური ბრძოლა“ (Mélée Social). ამ წიგნის შესავალი უკვე დაიბეჭდა გაზეთ ,,ფიგაროში“, თუმცა-კი უნდა ვსთქვათ, რომ ეს გაზეთი სრულიადაც არ თანაუგრძნობს ამ წერილში გამოხატულს აზრებს.

დასახელებულის თხზულების დაფასება ვიდრე მთლად არ გამოქვეყნებულა, რასაკვირველია, მარტო შესავლით არ შეიძლება, მაგრამ თვით შესავალი ცოტა არ იყოს უცნაურს, დამაღონებელს შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზედ. აი რა არის კლემანსოს თხზულების დედა-აზრი. კაცის უმთავრესი დანიშნულება არის მუდმივი ბრძოლა არსებობისათვის და, ამ ბრძოლაში გამარჯვება, რასაკვირველია, უფრო ძლიერსა რჩებაო. ,,მაშ ეგ არის თქვენი მოძღვრებაო,—მკითხავს ვინმე, დასძენს თვით ავტორი, — შემაძრწუნებელი ბრძოლა საუკუნოებისა, აღსავსე ცრემლითა და სიკვდილითა და ამასთანავე ბრძოლა უსარგებლო ცხოვრებისათვის. ეს ხომ სასოწარკვეთილება და ფუქსავატობააო! დიაღ, მაგრამ, სამწუხაროდ, მე ახალს არაფერს გეუბნებით, რადგანაც მე არაფერი მაქვს ახალი და თვით ცხოვრებაშიც ჩემს ნებაზედ არაფერი არ არის დამოკიდებული. მხოლოდ მე ვიკვლევ და ფაქტებს აღვნიშნავ და ცხოვრებაში ადამიანის ერთად-ერთი მანუგეშებელი კლემანსოს აზრით მარტო ოცნება არის.

,,განა მანუგეშებელი არ არის ის საკვირველი ნიჭი, რომლის შემწეობითაც მოვაწყობთ ხოლმე იმ ქვეყანას ისე, როგორც ჩვენა გვსურს და რომელიც არაფრითა ჰგავს ამ ქვეყანას, რომელზედაც ჩვენა ვცხოვრებთ. გაგება იმისი, რაც ნამდვილად არის, ოღონდაც რომ დიდი ნიჭია, მაგრამ უფრო საკვირველია ის ძალა ჭკუისა, რომლის შემწეობითაც წარმოვიდგენთ იმას, რაც უნდა ყოფილიყო“.

—

გაზეთი ,,Estafette“-ი დაბეჯითებით ამბობს, რომ ვითომ გერმანიას გარდაეწყვიტოს მონაწილეობის მიღება იმ მსოფლიო გამოფენაში, რომელიც პარიზში იქნება გამართული 1900 წელს.

—

**ინგლისი.** ინგლისში ინფლუენცა უფრო-და-უფრო მძვინვარებს. ეს სენი საშინელი გადამდები ყოფილა და ამიტომ უმთავრესი ყურადღება იმაზეა მიქცეული, რომ ავადმყოფი განცალკევებულიი ქმნას და სიკვდილისა ან მორჩენის შემდეგ ყოველისფერს დეზინფექცია უნდა გაუკეთდეს.

—

გაზეთ ,,Times“-ი ამბობს, რომ მალე უთუოდ უნდა მოხდეს ინგლისში საერთო არჩევნებიო. გაზეთის მოსაზრებით გლადსტონის მომხრე ბი 33 ადგილს მაინც დაჰკარგვენ, ხოლო უნიონისტები 66 შეიძენენო.

თუ ,,Times“-ის წინასწარმეტყველება გამართლდა, მაშინ მომავალს ინგლისის პარლამენტში უმეტესობა იმ დასისა იქნება, რომელიც ირლანდიის თვით-მმართველობის წინააღმდეგია.

—

(ჰენრი რაულინსონი).

ამ დღეებში ლონდონში ინფლუენცით გარდაიცვალა 85 წლის სახელგანთქმული არხეოლოგი და აღმოსავლეთის კარგად მცოდნე ჰენრი რაულინსონი, რომელიც ითვლებოდა ინგლისის პირველ ასსირიოლოგათ და ლურსმულ ნაწერების კარგ მკითხველად. რაულინსონი დაიბადა 1810 წელს. 1826 წელს შევიდა სამხედრო სამსახურში და ინგლის-ოსტინდიის კომპანიაში მსახურებდა. მთელი თავისი ხანგრძლივი სამსახური თითქმის აღმოსავლეთში გაატარა და არხეოლოგიის შესწავლას მოანდომა. სპარსეთში მან აღმოიკითხა ბეგისტანიის წარწერანი, რომლებიც მეფე დარიის ისტორიას მოგვითხრობენ. თავის-თავად შეისწავლა სპარსული ლურსმული წარწერების ამოკითხვა. იმისი შრომა უფრო გაათართოვა ნინევისა და ბაბილონის ნანგრევებზედ ლურსმულის ზედ-წარწერების აღმოკითხვამ. მაგრამ ყველაზედ უფრო შესანიშნავი შრომა რაულინსონისა არის ,,ლურსმული წარწერები დასავლეთს აზიაში.“ ამ რაულინსონმავე, სხვათა შორის, აღმოიკითხა ვანის ნანგრევებზედ ძველის-ძველი ზედწარწერანი.

## უცხოეთის წვრილი ამბავი.

ჩინეთის ერთს ახალგაზრდა იმპერატრიცას ამას წინად თავი მოუკლავს. ამ

გარემოებამ დიდი მითქმა-მოთქმა ასტეხა ბოგდიხანის სასახლეში. ჩინეთში მხოლოდ ორი კაცია, რომელთაც ყოველთვის აქვთ ნება იმპერატორთან შესვლისა და მასთან საუბრისა. ერთი, რომელსაც „სიკეთის მაუწყებელს“ ეძახიან, ბოგდიხანს მოახსენებს ხოლმე რომელიმე ჩინელის საქებურს საქმეს და შუამდგომლობს მისთვის საჩუქრების დანიშნას. მეორეს ეძახიან „ბოროტის მაუწყებელს“, მისი მოვალეობაა აუწყოს სიბოროტის ჩამდენი საქციელი. ამ კაცს საშინელი ძალა აქვს ხელში და მის წინ ყველა დიდებული კაცი ქედს იდრეკს. თვით „ჩინეთის ბისმარკი“ მძლავრი ლი-ხუნგ-ჩანგი თრთოდა აუ-ინშუნგის წინაშე. აგერ ათი წელიწადია, ეს აუ-ინშუნგი „ბოროტის მაუწყებლის“ თანამდებობას ასრულებს. როდესაც ახალგაზდა იმპერატრიცამ თავი მოიკლა, აუ-ინშუნგმა მოახსენა ბოგდიხანის დედას, რომ თავის მოკვლის მიზეზი თვით იმპერატორი არისო, რომელიც ცუდად ეპყრობოდა თავისს ცოლსაო. დედამ დაიბარა შვილი და გადასცა ყოველივე, რაც აუ-ინშუნგმა მოახსენა. ბოგდიხანი საშინლად გაჯავრდა და სთქვა, სრული სიცრუე მოუხსენებიაო. თავის მოკვლის ნამდვილი მიზეზი სამშობლოს ახლანდელი შეურაცხყოფა იყოო, ის შეურაცხყოფა, რომელიც ჩინეთს იაპონიამ მიაყენაო. ბოგდიხანმა ძლიერ დასაჯა ცრუ დამბეზღებელი: მისი აუარებელი ადგილ-მამული და ფული ხაზინას გადაეცა და თვით განდევნილ-იქმნა ჩინეთიდგან. აუ-ინშუნგი, რომლის წინაშე ამ ერთის თვის წინად 400 მილიონი კაცი შიშისაგან თრთოდა, ახლა მონგოლეთში უბრალო მუშად არის.

### ბიბლიოგრაფია.

დაისტამბა ახალი თხზულება რუსულს ენაზედ ლაზარევის ინსტიტუტის პროფესორის ა. ს. ხახანაშვილისა შემდეგის სათაურით: „Очерки по исторіи грузинской словесности. Выпускъ первый. Народный эпосъ и апокрифы. Москва, 1895 г.

როგორც წინასიტყვაობიდგანა სჩანს, ბ-ნს ხახანაშვილს განუზრახავს მთელი ჩვენი ლიტერატურა უძველეს დროიდგან ჩვენს დრომდე გამოიკვლიოს. ეს შრომა ოთხს დიდს ტომს შეადგენს. პირველი ნაწილი, რომელიც უკვე დაისტამბა მოსკოვში და ტფილისის წიგნის მაღაზიებსაც მოუსვლიათ, შეიცავს ქართულს სახალხო ეპოსს და აპოკრიფებს; მეორე ნაწილში ავტორს განუზრახავს მიმოხილვა ქართულის ლიტერატურისა მეცამეტე საუკუნემდე; მესამე ნაწილში მოთავსებული იქნება განხილვა ლიტერატურისა მეცამეტე საუკუნიდგან მეცხრამეტემდე; უკანასკნელს მეოთხე ნაწილში-კი პატივცემული ავტორი მეცხრამეტე საუკუნის ქართულის ლიტერატურის გამოკვლევას გვპირდება.

დასტამბული პირველი ნაწილი 366 გვერდს შეიცავს და ორი მანეთი ღირს.

### გასართობი

იაკინთე ალექსიევ-მესხიევის რვეულიდგან: „მიკრეფილი-მოკრეფილი ჩინჩხუარი“.

„ა, არიან კაცნი, ნიჭებულნი მახვილგონიერებითა და ხუმარ-სიტყვაობითა, გარნა მასთანვე ესრეთითა კრძალულებითა, რომე მნიად რამე გამოჯსოქმენ მკჲფეთსთა შენიშნულებათა თვისთა წამთაცა შინა მხიარულებისათა წინაშე მოყუასთა ანუ მსხლობელთა თვისთა. არიან ეგე ვითარნიც, რომელთა, წინააღმდეგ ამისა, არა შეაბრკოლებსთ წარმოთქმასა ზედა ესე ვითართა შენიშნულებათასა არცა დრო, არცა ადგილი, არცა გარემოება და ვითარება შემთხვევისა, არცა პირადობა ვისიმე. რიცხვსა უკანასკნელთასა, ეტყობა, ეკუთვნიდა გლეხი კიკო ფ. ამას თურმე მოუკვდა შვილი და, სხვათა მოსამძიმრეთა შორის, მოვიდა მასთან ერთიცა აზნაურთაგანი, რომელმაც, შემდგომ სამძიმრისა, მოითხოვა ბოდიში შესაწევარის მოურთმევლობაზედ, რადგანაც იმ დროს ხელად არა შეჰსწრებოდა რა. შეხედა რა მგლოვიარემ, იცნო თავისი მტერ-მოყვარე და მიუგო ბოდიშის პასუხად: მმაო! ექვსჯერ გაგიტეხავარ. შენიჭირიმე, მეშვიდეთ ნუღარა მცემ და შესაწევრად მეყოფა გვერდები რომ მრთლად დამრჩება: შენი შესაწევარი საქმიოზედ მეტი არ იქნებაო.“

### წერილი რედაქციის მიმართ.

—

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ, ნება გვიბოძოთ თქვენის გაზეთის „ივერიის“ საშუალებით მადლობა გამოვუცხადოთ ქ. ახალციხის მემამულეთ: იაკობ ი—ის ძეს ორბელიანს, ელისაბედ ი—ს ასულს გალატოზიშვილისას და მარიამ გრიგოლის ასულს ქ-ნ გამრეკელისას, რომელთაც შემოსწირეს ჩემდა რწმუნებულს ს. მუსხის წმ. გიორგის ეკკლესიას პირველმა 15 მ., მეორემ—5 მ., ხოლო მესამემ 10 მ.

მუსხის წმ. გიორგის ეკკლესიის მღ. ვას. ხიდაშელი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

3 მარტი.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორის ბრძანებით არსდება განსაკუთრებული კანცელარია, რომელიც განიხილავს ყველა არზა-საჩივრებს ხელმწიფის სახელზედ მიმართულს.

1 მარტი.

**ვენა.** ჩინეთს მიუმართნია ევროპის ყველა სახელმწიფოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებისათვის, რათა დახმარება აღმოუჩინონ იაპონიასთან მორიგების საქმეში.

**ლონდონი.** ხიროშიმიდგან დეპეშით იუწყებიან: ოფიციალურის წყაროებიდგან სჩანს, რომ ჩინეთის დესპანნი ხვალ ტიანძინიდგან იაპონიაში მიემგზავრებიანო.

შანჰაიდგან იუწყებიან, რომ თუმცა ლი-ხუნგ-ჩანგი თანახმა არის, მიიღოს ყველა იაპონიისაგან დადგენილი პირობები, მაგრამ იაპონიის უმაღლესს წრეებში არა სჯერათ, რომ ჩინეთსა და იაპონიის შორის მორიგება მოხდეს.

იაპონიის ჯარი პეკინისაკენ მიისწრაფის.

შესაძლებელია, რომ იაპონიის იმპერატორმა ლი-ხუნგ-ჩანგი ინახულოს.

**პეტერბურგი.** 3 მარტს. „ნოვ. ვრემია“-ს მოსვლია ლონდონიდგან დეპეშა, რომ იქ იაპონიის სასარგებლოდ გული მოიბრუნესო. ამბობენ რომ, თუ ინგლისელებს შეუძლიანთ ჰმართონ 300 მილლიონი ინდოელნი, მაშ რატომ იაპონელებიც ვერ შეიძლებენ ჰმართონ რამდენიმე მილლიონი ხალხი ჩინეთის იმპერიაში მცხოვრები.

**როსტოვი დონისა.** 2 მარტს. აზოვიდგან პირველი ცეცხლის გემი მოვიდა.

**პარისი.** 2 მარტს. პარლამენტში სოციალისტი სამბა ამტკიცებდა იმ აზრს, რომ გადასახადი დაწესდეს იმ შემოსავალზედ, რომელსაც ფული აძლევს პატრონს და ამით შესდგეს შესაწევარი კასსა მოხუცებულობისაგან დავრდომილ მუშათათვის. მთავრობა წინააღუდგა ამ აზრს და პარლამენტმაც უარ-ჰყო 296 ხმით 216-ის წინააღმდეგ.

**ნიუ-იორკი.** 2 მარტი. შანჰაიდგან იწერებიან, რომ 16 გემი იაპონელებისა ფორმოზის ახლოს დადისო და ცხადიაო, რომ იაპონელებს განზრახვა აქვთ ფორმოზის კუნძული ჯარებით დაიჭირონო. იქ მეციხოვნედ ჩინელებსა ჰყავთო 30 ათასი კაცი.

### „ივერიის“ ფოსტა.

—

ს. ბარალეთის სამკითხველოს გამგეთ. ფოსტის ფული (2 მ.) გამოგზავნეთ და გაზეთებს დიდის სიამოვნებით გამოგიგზავნით.

აბუკინოს!—სიამოვნებით დავბეჭდავთ თქვენგან დაპირებულს ანეკდოტებს.


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდე, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

გ. მ. ჩიქოანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ექიმი მ. ტურბოვიჩი. ქალი ა. 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

მოსამზადებელი სასწავლებელი
**ი. პ. როსტომაშვილისა**
ამზადებს ყმაწვილებს საშუალო და სხვა სასწავლებლების მოსამზადებელ და პირველ კლასებისათვის.

ფასი სწავლისა 6 მანეთი თვეში.

მოსწავლენი მიიღებიან ყოველ-დღე.

სასწავლებელი იმყოფება სალდათის ქუჩაზედ, ივანე ენიკოლოფოვის სახლებში, № 7. ფოსტის ცხენების სადგურის პირდაპირ: противъ Разгонной станціи. უ.

დიდი სააბრეშუმო ქარხნები
**მოლტიფაოში:** (კორსიკის კუნძულზედ, საფრანგეთში) **აბრეშუმის ჭიისა** ცელიულიარული **თესლი** (პასტერის სისტემით მომზადებული).

**ი. ალოიზისა.**

მსყიდველთ შეუძლიანთ თესლი დაიბარონ ტფილისიდგან, კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებისაგან და ქ-ნ დ. სულხანიშვილისაგან, ნიკოლოზის ქუჩა, № 39, თესლი ისყიდება 3 და 5 მისხლიან კოლოფებით; მისხალი 60 კაპეიკად.

(6—869—5)

ამ დღეებში გამოვა გასაყიდად
თ. რაფიელ ერისთავის
**თხზულებანი**
პირველი ტომი

რომელშიაც მოთავსებულია ყველა ლექსები და არაკები; წიგნი შეიცავს 400 გვ. ავტორის პორტრეტით და ფაქსიმილეთი.

გაიხსნა **ახალი** წიგნის მაღაზია ქ. ტფილისში, მიხეილის ქუჩა, № 97.

ისყიდება ყოველგვარი საყმაწვილო და სახალხო წიგნები რუსულს ენაზედ („პოსრედნიკისა“ და სხვ.) წიგნების ფასი—ორი კაპეიკიდგან. მაღაზია კისრულობს იაფ-ფასიან ბიბლიოთეკების შედგენას (არის ერთ-მანათიანიც). გამოწერა შეიძლება ფასდებული ამანათითაც (наложеннымъ платежемъ). უ.

**ცხოვრება**
შვიდთა ყრმათა ეფესელთა
თარგმნილი მ. შარაძის მიერ
გამოცემა მ. შარაძისა და ამხ. სტამბის
ფასი ერთი შაური
ისყიდება:

წერა-კითხვის გამავრცელებელისა, ქართველთა ამხანაგობისა, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთავე სტამბაში.

ოზურგეთს. კ. თავართქილაძესთან.

სამტრედიაში. პ. გელეიშვილთან.

ქუთაისში. წერეთლისა და ბეჟანეიშვილის მაღაზიებში.

თელავში. ი. იმერლიშვილთან.

მაქვს ფარჩაზედ დახატული თამარ დედოფლის სურათი ბალიშებისათვის, თითოეული ღირს 2 მანეთი, აგრეთვე ქართველების ყველა გამოჩენილის კაცის სურათი აბრეშუმის ცხვირსახოცზედ. თითო ღირს 60 კ.—1 მან. ხოლო წიგნში ჩასადებ ლენტებზედ დახატული 25 კ.—30 კ. თუ ჰსურს გამოიწეროს ვინმემ და ან გადაიხატოს, ამ ადრესით მომმართონ.

ვანქის ქუჩა № 7, სახლი მურადოვისა, ალექსანდრა რადინოვისა.ს

დამზღვევი საზოგადოება
**„იაკორი“**
(ღუზა)
უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც ძირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს
გარდა სათადარიგო ფულისა.

**დაზღვევა ცეცხლისაგან.**

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღწამოსაღების საქონლისა.

**დაზღვევა სიცოცხლისა.**

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვევის პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეყენებული იქნება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500 მან. და დანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კი თვით დაზღვეული თანხაც—10,000 მ.

წერილობითი განცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში, კავკასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2) და იმპერიის ყველა ქალაქების სააგენტოებში.

სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სახლი ალელოვისა, თეოდორე ალექსანდრეს ძის ივანოვის სადგომში. საზოგადოებისათვის საადვილოდ დაზღვევა შეიძლება კუკიაშიაც,

(100—721—›)


Дозвено цензурою, Тифлисъ 3-го Марта 1895 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე